ბრძანება:**ბ47.47222641**
თარიღი:**21/09/2022**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 29 სექტემბერს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ქონების პრივატიზების კუთხით განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 5 ერთეული უძრავი ქონების (სასოფლო ამბულატორიები) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისაა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 8 თვის შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი